



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მოსაზრებები რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს IX და X გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ

2 აპრილი, 2020

გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი დასკვნითი მოსაზრებების ფარგლებში კონკრეტული სახელმწიფოსთვის რეკომენდაციებს გასცემს მთავრობის მიერ წარდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია, რომ სახელმწიფოს ანგარიშებში ყურადღება გამახვილებული იყოს არა მხოლოდ კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, არამედ ანგარიშების წარდგენის მომენტში ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზეც.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ წარმოგიდგენთ მოსაზრებებს ანგარიშის ფარგლებში შემდეგი მიმართულებებით განხილულ საკითხებთან დაკავშირებით:

- 1) ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა;
- 2) სასამართლო სისტემის რეფორმა და მედიაცია.

1. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და სიძულვილის ენასთან ბრძოლა

2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებას იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხდება. თუმცა, 53¹ მუხლი პრაქტიკაში სათანადოდ არ გამოიყენება. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის კომპონენტის იდენტიფიცირება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს, რაც უფლებადამცველ ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმემ კიდევ ერთხელ დაადასტურა.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, მართალია, 2019 წლისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, თუმცა, სამართალდამცველთა მხრიდან სიძულვილით მოტივირებულ შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ დაწყებული დევნის მაჩვენებელი კვლავ დაბალია.¹ ყურადსაღებია, რომ ჯერ კიდევ 2016 წელს დაწყებულ სამართალდამცველების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ არცერთ საქმეზე პროკურატურას არ ყავს გამოკვეთილი დაზარალებული ან/და ბრალდებული. აღნიშნული მიუთითებს საკითხის პრობლემურობაზე.² ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობა (სექსუალური

¹ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს პროკურატურის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 2017 – 2018წწ., გვ. 59 – 60, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/PrIME/report_29_october_2019_GEO_full_document.pdf

² იქვე.

უმცირესობები) მიუთითებს სამართალდამცველთა მხრიდან ძალადობის, არასათანადო რეაგირებისა და ჰომოფობიური მოპყრობის ფაქტებზე.³

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართულებით საქმეთა არც ისე მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე, სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობა, შესაძლოა, საკმარისად იქნეს მიჩნეული. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლების დატვირთულობა არასათანადოდ ფასდება და სპეციალური კრიტერიუმები და პროცედურა არ არის შემუშავებული, პროკურორთა დატვირთულობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. ამასთან, მნიშვნელოვანია, სპეციალიზებული პროკურორები მხოლოდ იმ კატეგორიის დანაშაულებზე მუშაობდნენ, რომელთა მიმართულებითაც არიან გადამზადებული, რაც კვლავ გამოწვევად რჩება.

2. სასამართლო სისტემის რეფორმა და მედიაცია

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გატარებული რეფორმების შედეგად ცალკეული დადებითი ცვლილებები განხორციელდა, სასამართლო სისტემაში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც დროულ და ეფექტიან გადაწყვეტას მოითხოვს.

პრობლემურია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის წესი, რომელიც სრულად ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დაკომპლექტებას დამსახურების პრინციპის საფუძველზე.⁴ პირველი ფარული კენჭისყრის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ქმნის რისკს იმისა, რომ კანდიდატები, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევიან, თვითნებურად და დაუსაბუთებლად გამოეთიშონ შერჩევის პროცესს. კონკურსის მიმდინარეობისას სამეტაპიანი ფარული კენჭისყრა გამორიცხავს დასაბუთების შესაძლებლობას და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკს წარმოშობს, რაც ამ მხრივ არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.⁵ ორგანული კანონის ამ ხარვეზების უარყოფითი შედეგები ცხადად გამოვლინდა საბჭოს მიერ ჩატარებული პირველი კონკურსის მიმდინარეობისას.

³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2018), გვ. 139, ხელმისაწვდომია:

<http://ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

⁴ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევა „საქართველოს უზენაესი სასამართლო - ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, 2020, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/public/upload/Magda/Presentation%20of%20the%20Report%20on%20Institutional%20and%20Legal%20Framework%20of%20the%20Supreme%20Court%20of%20Georgia/Supreme_Court_of_Georgia_Geo.pdf

⁵ IDFI, “IDFI-მ სახალხო დამცველის კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა“, 17 თებერვალი, 2020, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/ge/idfi_filed_an_amicus_curiae_brief_regarding_the_constitutional_appeal_of_the_public_defender

2019 წლის დეკემბერში უზენაეს სასამართლოში 14 მოსამართლის დანიშვნას კრიტიკული შეფასება მოყვა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.⁶ ისინი ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ რიგი ნომინირებული პირებისა არ წარმოადგენდნენ საუკეთესო კვალიფიციურ კანდიდატებს.⁷ ასევე, შერჩევის პროცესს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზები, მათ შორის, გამჭვირვალობის ნაკლებობა ახასიათებდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსამართლეთა წარდგენის პროცესზე, რომლის დროსაც მათი ქეშმარიტი დამსახურება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.⁸

რაც შეეხება საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ მისი დანერგვა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ამ კუთხითაც არსებობს სერიოზული გამოწვევები. სასამართლოს თავმჯდომარეს შენარჩუნებული აქვს პრობლემური უფლებამოსილება - მოსამართლეები საკუთარი შეხედულებით განაწილოს ვიწრო სპეციალიზაციებში, რაც საფრთხეს უქმნის საქმეთა შემთხვევით და ელექტრონულ განაწილებას.⁹ გარდა ამისა, კოლეგიური შემადგენლობის მიერ საქმეთა განხილვისას საქმე ეწერება სხდომის თავმჯდომარეს/მომხსენებელ მოსამართლეს. საბჭოს მიერ დამტკიცებული წესი დამატებით არ ითვალისწინებს კოლეგიის სხვა 2 წევრის შერჩევის პროცედურას, რაც აჩენს კოლეგიური შემადგენლობის თვითნებურად დაკომპლექტების რისკს.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტალღის“ ფარგლებში ცალკეული დადებითი ცვლილებები შეეხო იუსტიციის უმაღლეს სკოლას, ამ კუთხითაც რჩება გამოწვევები. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 4 წევრის არჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს, რაც სკოლის საქმიანობაზე საბჭოს გავლენის რისკებს ქმნის. გარდა ამისა, სკოლაში მისაღებ კონკურსთან დაკავშირებული საკითხები სკოლის წესდებით განისაზღვრება და არა საკანონმდებლო დონეზე, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. ასევე, პრობლემურია

⁶ Council of Europe Parliamentary Assembly, “Monitors regret appointment of 14 judges by Georgian parliament”, 13 დეკემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: <http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=7737&lang=2>

⁷ აშშ-ს საელჩო საქართველოში, „აშშ-ის საელჩოს განცხადება უზენაესი სასამართლოს ნომინაციებზე (12 დეკემბერი)“, 12 დეკემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassys-statement-on-supreme-court-nominees-december-12-ka/>

⁸ ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS), „ევროკავშირის საგარეო სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცებასთან დაკავშირებით“, 13 დეკემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3buedza>

⁹ IDFI, “ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) რეკომენდაციები არასათანადოდ სრულდება”, ანალიზი, 22 თებერვალი, 2019, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/government_of_georgia_reduces_its_efforts_to_implement_oecd_acn_recommendations

¹⁰ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ კვლევა „საქართველოს უზენაესი სასამართლო - ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, 2020, ხელმისაწვდომია:

https://idfi.ge/public/upload/Magda/Presentation%20of%20the%20Report%20on%20Institutional%20and%20Legal%20Framework%20of%20the%20Supreme%20Court%20of%20Georgia/Supreme_Court_of_Georgia_Geo.pdf

მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმების, ასევე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გასაჩივრების გარანტიების არარსებობა საკანონმდებლო დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების შედეგად მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა¹¹ გაუმჯობესდა, მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი, რაც ვერ უზრუნველყოფს ინსპექტორის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.

საბოლოო ჯამში, IDFI-ს შეფასებით, სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზები და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის არასაკმარისი გარანტიები რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე მიუთითებს.

¹¹ „სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება - დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა“, 2019, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/assessment_of_the_judicial_reform_system_of_disciplinary_liability_of_judges